ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №59

ქ. დმანისი **2023 წელი**

ერთის მხრივ, **დმანისის მუნიციპალიტეტის მერია,** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „მარინა ყაფლანიშვილი"-ს (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს საქონელი:

№	cpv-კოდი	შესყიდვის ობიექტი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ღირებულება (ლარი)
1	**19640000**	**პოლიეთილენის პაკეტი (100*150)**	შეკვრა	50	5,00	250
2	**19640000**	**პოლიეთილენის პაკეტი (75*95)**	შეკვრა	50	4,00	200
3	**18141000**	**სამუშაო ხელთათმანები**	წყვილი	300	1,20	360
				ჯამი		**810**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 810 (რვაასათი) ლარი(დღგ-ის გათვალისწინებით) .

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მიწოდებული საქონლის დასახელება;
- მიწოდებული საქონლის მოცულობა;
- მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია *დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტის საკითხებში- თეონა სუბარი.*

6. საქონლის მიწოდების ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობის. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს *დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტის საკითხებში- თეონა სუბარი.*

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	ი/მ „მარინა ყაფლანიშვილი“ მის.: ქ. დმანისი, ჭავჭავაძის ქ.N2 საიდენტიფიკაცო კოდი: 10001045312 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE55LB0112184829214000 ტელ.: 551161150
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი **კობა მურადაშვილი** DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2023.03.28 11:18:47 +04'00'	**მარინა ყაფლანიშვილი** Marina Kaplanishvili Digitally signed by Marina Kaplanishvili Date: 2023.03.29 10:53:29 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი **2023 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2023 წლის №59 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,
კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტის საკითხებში __ Teona Subari 15001025227 Digitally signed by Teona Subari Date: 2023.03.29 14:12:48 თეონა სუბარი